საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 29.03.12

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - ა(ა)იპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ლალი ღოღელიანი - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ივანე ალავიძე - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ოთარ სიბაშვილი - შიდა მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ირაკლი ესიავა - შიდა მონიტორინგის სამმართველოს კორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი - ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;
2. საფეთ ბაირაქთუთანი - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა - ლიცეუმის დირექტორი;
3. ზურაბ ბიწაძე - შპს - სამეცნიერო საწარმოო ფირმა ,,ალმასის'' დირექტორი;
4. ნატო ზარნაძე - შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის" დირექტორის მოადგილე;

5. მაია დუდაური - შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ”ლიბერთი პროფის” დირექტორის მოადგილე;
6. დემურ ავალიანი - შპს - ,,პეგასის“ დირექტორი;
7. თამარ მიდელაშვილი - შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკრის“ დირექტორის მოადგილე;
8. თეა ხუციშვილი-საყვარელიძე - შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკრის“ ფინანსური მენეჯერი;
9. ქეთევან ჯანუაშვილი - შპს - „ერუდიტის“ დირექტორი;
10. ირმა ლორია - შპს - „ერუდიტის“ დირექტორის მოადგილე;
11. ნაზი ნადირაძე - შპს -„ცოდნის“ დირექტორი;
12. მარინე ქვრივიშვილი - შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის დირექტორი;
13. მერი ქვრივიშვილი - შპს - „კანდიდი“ საშუალო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი;
14. თამარ ნათენაძე - სპს - ,,თამარ ნათენაძის'' დირექტორი;
15. რომან ტიკაძე - შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორი;
16. მანანა გვირჯიშვილი - შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ,,ფესვების'' წარმომადგენელი;
17. ნინო ზაქარეიშვილი - შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა ,,იბერიის''დირექტორი;
18. რუსუდან ჯაფარიძე - შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა ,,იბერიის''დირექტორის მოადგილე;
19. ნუგზარ ეხვაია - შპს - ,,ინტელექტის'' დირექტორი;
20. ნიკოლოზ ბრეგვაძე - შპს - ,,პროგრესი 010-ის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:30 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა იოსებ სალუქვაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი-პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
14. შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
15. შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ განმარტა, რომ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა სკოლას მისცემოდა უფლება სასწავლო პროცესი განეხორციელებინა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესების შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს აღნიშნული წერილის განხილვა. შესაბამისად, ნანა ჭიღლაძემ ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა ცენტრში წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვს მათი ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი-პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
14. შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურთან მიმართებით:

1.1 ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმ. ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მდებარეობს ქალაქ თელავში, ფალიაშვილის ქ. №28-ში და 2007 წლის 8 ოქტომბრის ქირავნობის ხელშეკრულებით 873.8 კვ.მ. ფართს, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (2008 წლის 8 დეკემბრის მონაცემები) - 742 კვ.მ ფართს. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

1.2 სკოლას 2011 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულებით შპს ,,სამაიასაგან" შეძენილი აქვს ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის აღჭურვილობა და მოქალაქე გიორგი ჭონიშვილისაგან ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვილობა. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის 30% შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამატრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" დადგენილ პარამეტრებს.

1.3 სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოწესრიგებული არა აქვს სველი წერტილი.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული. ზეპირ მოსმენაზე მოხდა ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლამ გამოასწორა დაფიქსირებული შენიშვნები.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 2012 წლის 23 მარტის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც, დაწესებულების კანონიერ მფლობელობაშია 1106,24 კვ.მ. ფართი.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 2012 წლის 19 მარტის ხელშეკრულება შპს - „ევრიკა-ზუ"-სთან, რომლის თანახმად, ლაბორატორიული აღჭურვილობის (208 დასახელება) სკოლისათვის გადაცემა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან

არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა. ამასთან, წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ უკვე გადახდილია 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა ადაპტირებული სველი წერტილის ამსახეველი ფოტო-მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 280-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებულ წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 260 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ალავერდის ეპარქიასთან არსებულ წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (საიდანტიფიკაციო კოდი: 231284277) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

2. შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანისათვის ცალკეულ საგანში განსაზღვრულია წლიურ ქულად არანაკლებ 4 დაუმრგვალებლად.

2. მატერიალურ რესურთან მიმართებით:

2.1 შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასი მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის მე-2 მიკრო/ რაიონი, N45ა, მიმდებარედ (ნაკვეთი 011/070). დაზუსტებული ფართობი – 951 კვ.მ, მათ შორის შენობა–ნაგებობების (N1 და N2) ფართი 255.85 კვ.მ. ამ ეტაპზე სკოლის შენობის საერთო ფართია 816.15 კვ.მ. დამთავრებულია საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული შენობის რეკონსტრუქცია – მიშენება, რის შედეგადაც სკოლას ემატება 660,3 კვ.მ. გადახდილია მოსაკრებელი ზედამხედველობის სამსახურში, რათა მოხდეს აღნიშნული მიშენებული ფართის ჩაბარება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა ელოდებოდა პასუხს ზედამხედველობის სამსახურიდან მთლიანი ფართის საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ ფართზე განთავსებულია 9 საკლასო ოთახი. დანარჩენი 10 ოთახი განთავსებულია დასარეგისტრირებელ ფართზე.

2.2 ბუნებრივი განათების შესაძლებლობა აქვს 14 საკლასო ოთახს, ბიბლიოთეკასა და 3 საკლასო ოთახში არის მეორადი განათება.

2.3 სკოლაში არის 2 მოწესრიგებული სველი წერტილი 4-4 ინდივიდუალური კაბინით. დირექტორის განმარტებით მონტაჟდება ადაპტირებული სველი წერტილი.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმება 1.1 შენიშვნას, ვინაიდან მიაჩნია, რომ წლიურ ქულად 4-ზე მაღალი ქულის განსაზღვრამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოსწავლეთათვის არასასურველი და უსამართლო შედეგის დადგომა, რაც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს საჯარო სკოლებისათვის. ამასთან, კერძო სკოლებს უფლება აქვთ დაადგინონ კლასიდან კლასში გადაყვანისათვის განსხვავებული ბარიერი.

სხდომის თავმჯდომარემ, იოსებ სალუქვაძემ, განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციის მიზნობრიობაზე მსჯელობა სცდება საბჭოს კომპეტენციას. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კანონის ნორმათა შესაბამისად.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, განაცხადა რომ განსხვავებული ბარიერის არჩევის შემთხვევაში, როგორც წესი კერძო სკოლები ირჩევენ უფრო მაღალ ზღვარს, ამასთან, აღნიშნული შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კანონმდებელი არ აკეთებს პირდაპირ მითითებას უფრო მაღალი ზღვრის დადგენის თაობაზე, ხოლო განსხვავებული ბარიერი თავის თავში მოიაზრებს უფრო დაბალ ზღვარსაც.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ საფეხურის დაჯამების დროს სკოლაში არსებული რეგულაცია შესაბამისობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შესაბამისად, 1.1 შენიშვნა მას არ მიაჩნია არსებითად. აქვე, დავით კახნიაშვილმა, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ კლასიდან კლასში გადაყვანისათვის ცალკეულ საგანში განსაზღვრული წლიური ქულა მოეყვანა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან სრულ შესაბამისობაში.

რაც შეეხება 2.1 შენიშვნას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ფართი უკვე რეგისტირებულია საჯარო რეესტრში. ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტირდან, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი შეადგენს 829,55 კვ.მ.-ს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ასევე ადაპტირებული სველი წერტილების ამსახველი ფოტო-მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზეპირ განხილვაზე წარმოადგინა დამატებით მერხების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, პეტრე წურწუმიამ, დაადასტურა, რომ შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასს შეეძლო 300 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასს (საიდანტიფიკაციო კოდი: 202059431) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

3. შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „ლიბერთი პროფის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებ - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ვიზიტის დროს სველ წერტილში მონტაჟდებოდა ხელის საბჯენები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სველ წერტილში ხელის საბჯენების დამონტაჟების ამსახველი ფოტომასალა. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმაც. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულებაში არის ადაპტირებული სველი წერტილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მომხსენებელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 130-ით და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 264-ით განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დღეგამოშვებით მიმდინარეობდა და შესაბამისად, დატვირთული რეჟიმი არ იქნებოდა. ამასთანავე, მისი განცხადებით, სკოლა ფლობდა 25 კომპიუტერსა და 220 მერხს, რომელთაგანაც 44 იყო ორადგილიანი და ისინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის ითვლებოდა ორადგილიანად.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, დაადასტურა, რომ 220 მერხიდან 44 ორადგილიანი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას, შეუძლია 130 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში თითო ადამიანზე მინიმუმ სამი კვ.მ. ფართი უნდა იქნას ნაანგარიშები, შესაბამისად, ცენტრმა თანხმობა განაცხადა დაწესებულების მიერ 180 პროფესიული სტუდენტის მომსახურებაზე.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, განმარტა, რომ თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ 130 მოსწავლე იმავდროულად ყოფილიყო პროფესიული სტუდენტიც, ხოლო 50 ადგილი რჩებოდა დამოუკიდებლად და შესაძლოა შეევსო იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ მოსწავლეები.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, შეეძლოთ თუ არა მათ მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე გაეზარდათ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

პეტრე წურწუმიას განცხადებით, არსებობს თვლადი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. დაწესებულების ბალანსზე არსებული მატერიალური რესურსი და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი უფრო მეტი პროფესიული სტუდენტის მომსახურების საშუალებას არ მისცემს დაწესებულებას.

შესაბამისად, დაწესებულების ზემოაღნიშნული მოთხოვნა ცენტრის მიერ არ იქნა გაზიარებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი პროფის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მრავალპროფილიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი-პროფს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202065068) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურისა და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - მრავალპროფილიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ,,ლიბერთი-პროფს“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით. პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

4. შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურთან მიმართებით:

1.1 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს გენერატორი.

1.2 სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ყველა სასწავლო სახელმძღვანელო, თუმცა აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე არ არის შევსებული კეტერი და არ აქვს ნომერი მინიჭებული.

1.3 არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის.

1.4 სკოლას აქვს უსაფრთხოების 6 კამერა, აქედან 4 დამონტაჟებულია შიდა პერიმეტრზე, ხოლო 2 სკოლის ეზოში და აკონტროლებს მხოლოდ სკოლის შესასვლელს, თუმცა მათი ხედვის არეალი სრულად არ მოიცავს ფეხითმოსიარულეთა პერიმეტრს. არ დასტურდება გარე პერიმეტრის კამერების შესაბამისობა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.5 დაწესებულებას გაწერილი არ აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმი.

1.6 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. XII კლასის ჟურნალში სკოლის დირექტორს არ აქვს დამოწმებული მასწავლებელთა შენიშვნები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა უკვე გამოსწორებულია, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია რამოდენიმე საათის წინ ჩაბარდა ცენტრის კანცელარიას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლის, გიორგი ელისაბედაშვილს, თქმით შპს - პეგასის მიერ ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მონიტორინგის სამსახურს ამ დრომდე არ მიუღია, შესაბამისად, იგი ვერ დაადასტურებდა წარმომადგენლის განცხადებას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - პეგასის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში

დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ერთკვირიანი (5 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

5. შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა „ცისკარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 9 მარტს წარმოდგენილ იქნა №03-1997 კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლა „ცისკარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკარის“ ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

6. შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 20 მარტს წარმოდგენილ იქნა №03-2400 კორესპონდენცია, რომლის თანახმად, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ერუდიტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ერუდიტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ერუდიტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

7. შპს - ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 29 მარტს დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა №03-2796 კორესპონდენცია, რომლის თანახმად, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ცოდნის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ცოდნის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

8. შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 22 მარტს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2517) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ,,კანდიდი“ საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნების უმეტესობას შესაბამისი წესით არა აქვს მინიჭებული ნომერი, ბეჭედი დასმული და ჯიბაკი დაკრული.

1.2 სკოლას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის (ხელის მოსაკიდი საყრდენი).

1.3 სკოლას გაწერილი არ აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულებაში იყო წესრიგის დაცვის მექანიზმი გაწერილი, თუმცა არ იყო ბრძანებით დამტკიცებული. მისი განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია და წარმოადგინა ბრძანების ასლი, რომლითაც შემუშავებულია სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩასატარებლად და წესრიგის დასაცავად საჭირო მექანიზმები.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ბიბლიოთეკის ბეჭდის ნიმუში და ფოტომასალა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დასადასტურებლად და განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზებიც გამოსწორებულია.

სხდომის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს შეესწავლათ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა სპს - თამარ ნათენაძეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - თამარ ნათენაძის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სპს - თამარ ნათენაძის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

10. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას ვებგვერდი არ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაცი ფუნქიას. სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება ახალი ვებ გვერდის დამზადების შესახებ.

წარმოდგენილი იქნა შპს - Pear -თან დადებული ხელშეკრულების ასლია ვებგვერდის დამზადების შესახებ, რომლის თანახმადაც მისი დასრულების ვადა 2012 წლის 27 მარტი იყო.

1.2 გარე პერიმეტრის კამერების პარამეტრები არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

წარმოდგენილი იქნა შპს - სასკოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სკოლას უნდა დაუმონტაჟდეს აღნიშნული ბრძანების შესაბამისი კამერა, თუმცა ხელშეკრულებას არ ახლავს კამერის პარამეტრები. აღსანიშნავია, რომ ავანსის გადახდიდან 22 სამუშაო დღის ვადაში მოხდება კამერების დამონტაჟება. თანხა გადახდილია 2012 წლის 15 მარტს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო მოხდა ვებგვერდის გათიშვა. მისი განცხადებით, გაფორმდა ხელშეკრულება ახალი საიტის დამზადების თაობაზე, რაც დოკუმენტურადაც დასტურდება. საიტი გამართულად რამოდენიმე დღეში იფუნქციონირებს.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპრილის თვის დასაწყისში დამონტაჟდება კამერები შესაბამისი აპარატურით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა ვადა აღნიშნული ხარვეზების საფუძვლიანად აღმოსაფხვრელად.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 დღის ვადა.

11. შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას, ავტორიზაციის საჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 900-ით. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას სკოლას ერიცხებოდა 719 მოსწავლე. სკოლას აქვს 449 ერთადგილიანი და 251 ორადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამით. აღნიშნული რაოდენობა არ შეესაბამება ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტის რაოდენობას. სკოლის დირექტორის განმარტებით მათ მიერ შეძენილი იქნა 187-ე საჯარო სკოლის ფართი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს მიერ მატერიალური ფასეულობები (მერხები, სკამები, გენერატორი, წიგნადი ფონდი და სხვა) გადაეცემა შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა „ფესვებს“ უახლოეს პერიოდში.

2012 წლის 27 მარტს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2746), რომლის თანახმადაც, სკოლამ დაამზადა 300 ინდივიდუალური მერხი. წარმოდგენილი ფოტომასალა, რომელზეც ასახულია ინდივიდუალური მერხი, თუმცა სხვა რაიმე დოკუმენტით ვერ დასტურდება სკოლის მიერ 300 ინდივიდუალური მერხის ფლობა.

1.2 ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ე.წ. გენერატორის ფლობა, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ მისი მართლზომიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

1.3 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გარკვეული ნაწილი აღწერილია შესაბამისი ფორმით, გარკვეული რაოდენობა კი გამზადებულია ნუმერაციის მისანიჭებლად. დირექტორის განმარტებით ქონების გადაცემის პროცესის დასრულებისთანავე იგეგმება სკოლაში არსებული წიგნადი ფონდის რეინვენტარიზაცია, რაც გაწერილია სკოლის ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაშიც და ამის შემდეგ იქნება ნუმერაციით სრული წარმოება.

1.4 სკოლას, ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტებით უდასტურდება 19 ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერის ფლობა, თუმცა სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა დამატებით ფლობს 26 კომპიუტერს, რომელთა ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან სკოლისათვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზები სკოლისგან დამოუკიდებელი მიზეზებით იყო განპირობებული.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის მაგალითი იყო, როდესაც კერძო სკოლებს მიეცათ შესაძლებლობა პირდაპირი მიყიდვის გზით

შეეძინათ საჯარო სკოლები. თუმცა აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, რადგან უძრავ ქონებასთან ერთად მოძრავი ქონების გადაცემა დოკუმენტურად არ მოწესრიგებულა. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი მოგვარებადია, თუმცა საჭიროებს დროს. ეს ყველაფერი არა სკოლების, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იყო მოსაგვარებელი.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ, პეტრე წურწუმიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ქმედებები განახორციელა თავად სკოლამ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლას შეტანილი აქვს სამინისტროში შუამდგომლობა დეკემბრის დასაწყისში და წარმოება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

პეტრე წურწუმიას განცხადებით, აღნიშნული წარმოება შესაძლებელია დროში გაიწელოს და იმისათვის, რომ სკოლის ავტორიზაციის საკითხი ეჭვქვეშ არ დადგეს, ურჩია სკოლას, რომ დამოუკიდებლად შეევსოთ მატერიალური რესურსი ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად.

ცენტრის დირექტორის პირველმა მოადგილემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, სკოლისათვის, ხარვეზების გამოსასწორებლად მაქსიმალური ვადის განსაზღვრად.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

12. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 325-ით. მოსწავლეთა ფაქტობრივი რაოდენობის გათვალისწინებით სკოლას დამატებით ესაჭიროება 50 ინდივიდუალური მერხი, ხოლო ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტის უზრუნველყოფის მიზნით - 103 ინდივიდუალური მერხი.

2012 წლის 26 მარტს შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2614) რომლის თანახმადაც, სკოლამ 2012 წლის 12 მარტს დამატებით შეიძინა 50 ინდივიდუალური სასკოლო მერხი.

1.2 სკოლის ბიბლიოთეკაში სრულად არ არის განთავსებული პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ყველა სასწავლო სახელმძღვანელო. მონიტორინგის ვიზიტისას სკოლას არ ჰქონდა მათემატიკის IX, X, XI, XII; ქართული ენისა და ლიტერატურის VII, X, XI, XII კლასებისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები.

2012 წლის 26 მარტს შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2614) რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ 2012 წლის 16 მარტს დამატებით შეიძინა გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები.

1.3 სსსმ მოსწავლეთათვის დაწესებულებას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

2012 წლის 26 მარტს შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2614) რომლის თანახმადაც, დაწესებულებამ სსსმ მოსწავლეთათვის დაამონტაჟა ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა.

1.4 მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვისა და აკადემიური შეფასების ჟურნალები გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით, რა დროსაც დაფიქსირდა ჟურნალის არასწორი წარმოების ფაქტი. IV კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი მეორე სემესტრის ცხრილი, არ არის დაშტრიხული თავისუფალი გრაფები და მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა არ არის კლასის დამრიგებლისა და სკოლის დირექტორის მიერ დამოწმებული; X კლასის ჟურნალში არ არის შეტანილი მეორე სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ არ არის შეჯამებული ნიშნები და გაცდენების რაოდენობა, არ არის შესაბამისად „დაშტრიხული“ შესაბამისი გრაფები, არ არის დაჯამებული პირველი სემესტრის გაცდენების საერთო რაოდენობა. გეოგრაფიის მასწავლებელს წინასწარ ფანქრით აქვს შეტანილი მომდევნო საგაკვეთილო დღეების თარიღები, დირექტორის მიერ არ არის

დამოწმეული მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები. ანალოგიური დარღვევები გვხვდება სხვა გადამოწმებულ ჟურნალებშიც.

2012 წლის 26 მარტს შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიამ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-2614), რომელსაც თან ახლავს მე-10 და მე-11 კლასების საკლასო ჟურნალების ქსეროასლები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება აუცილებლად შეიძენდა დამატებით 53 ინდივიდუალურ სასკოლო მერხს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

13. შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 160-ით. სკოლაში არსებული მერხების რაოდენობა არ არის საკმარისი საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტისთვის. დაწესებულება დამატებით საჭიროებს 77 ინდივიდუალურ მერხს.

1.2 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით ვერ დადგინდა მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან.

1.3 ბიბლიოთეკაში განთავსებულ წიგნების გარკვეულ რაოდენობაზე არ არის შესაბამისი ფორმით მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი.

1.4 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას არ აქვს პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი.

1.5 დაწესებულების ვებგვერდი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტისას არ ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას.

1.6 წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას არ ჰყავს მანდატური. დაწესებულებას აქვს 1 ვიდეოკამერა. სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული კამერის ტექნიკური პარამეტრები.

1.7 სკოლას არა აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ დამატებით შეიძინა 75 ინდივიდუალური მერხი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფის წევრის, ივანე ალავიძის მიერ წარმოდგენილი მასალების ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ შპს - ინტელექტს შეძენილი ჰქონდა 75 ინდივიდუალური მერხი.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე დაწესებულებას დადებული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულება და გადახდილი იყო 5600 ლარი.

1.3 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის დამონტაჟებული იყო, როგორც პანდუსები, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი.

უსაფრთხოების კამერებზე სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას შპს - ჯესკო ჯგუფთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება უსაფრთხოების კამერების შეძენის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შპს - ინტელექტმა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან დადო მომსახურების ხელშეკრულება.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

14. შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზრვრა 200-ით. დაწესებულებაში არსებული მერხების რაოდენობა არ არის საკმარისი საბჭოს მიერ განსაზღვრული კონტიგენტისთვის. სკოლას დამატებით ესაჭიროება 73 ინდივიდუალური მერხი.

1.2 სკოლას აქვს ლაბორატორია, თუმცა ჯგუფის ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით ვერ დადგინდა მისი შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს №572 ბრძანებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრებთან.

1.3 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერგიის ალტერნატიული წყარო.

1.4 დაწესებულებაში არსებული წიგნების გარკვეულ რაოდენობაზე არ არის შესაბამისი ფორმით მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი.

1.5 სკოლას სსსმ მოსწავლეთათვის არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

1.6 სკოლას აქვს 1 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს შინაგანა საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

1.7 სკოლას არა აქვს ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ იზიარებდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს და აღნიშნული ხარვეზების დიდი ნაწილი ჰქონდა უკვე გამოსწორებული.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ხარვეზების სრულად გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის 7 დღიანი ვადის განსაზღვრა, რათა დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მომხდარიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ხელახალი გადამოწმება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 7 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:30 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი